

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრობლოკი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და

რეგისტრირებულია: 07.09.2015წ.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 417887157

დღგ-ს გადამხდელი: 25.02.2016წ.

დამფუძნებელი: მურად წკრიალაშვილი (პ/ნ 59001016955) - 100%

დირექტორი: მურად წკრიალაშვილი

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. გორი, შინდისის გზ.მე-3 კმ

შპს „ევრობლოკის“ საქმიანობას წარმოადგენს ბეტონის პროდუქციის წარმოება საამშენებლო მიზნებისთვის (NAEC 23610), შენობების საერთო მშენებლობა (NAEC 41200)

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „შპს „ევრობლოკი“-ს მიერ წარდგენილ მეხუთე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

4. ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ლარი.

წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ლარში.

მონაცემები დამრგვალებულია ერთეულ ლარზე სიზუსტით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები შედგება ბანკებსა და სალაროში არსებული ფულადი სახსრების ნაშთისგან.

5. მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები.

შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად და აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

6. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობების შემოსავალში აღება ხდება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

7. ძირითადი საშუალებები

საწარმოს საწარმოო პროცესში გამოყენებული ტერიტორია და ტრანსპორტი სარგებლობის უფლებით (იჯარა) აქვს აღებული. 2023 წელს შეიძინა საკუთარი ტრანსპორტი და საოფისე ტექნიკა, ხოლო 2024 წელს საწარმოო დანადგარი.

2024 წელს მიღებული აქვს ლიცენზია ქვიშა ხრეშის მოპოვებაზე, რაც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლში.

8. შემოსავლების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, თუ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

9. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

10. გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში.

2024 წელს კომპანიას დივიდენდი არ გაუცია.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2024 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

დირექტორი:



/მ.წკრიალაშვილი/

შპს „ეკრობლოკი“ ს/ნ 417887157

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31/12/2024 31/12/2023 31/12/2022

<u>აქტივები</u>	<u>2806571</u>	<u>2581818</u>	<u>1785508</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
(ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლები)	437032	303751	0
მოკლევადიანი აქტივები	2308417	2278067	1785508
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	88965	1420	58196
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	849234	744678	836233
მარაგები	430195	317169	0
მზა პროდუქცია	390023	664800	891079
სხვა პირზე სესხად გაცემული თანხა	550000	550000	0
<u>მთლიანი კაპიტალი</u>	<u>2695961</u>	<u>2451940</u>	<u>1620727</u>
საწესდებო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2695961	2451940	1620727
<u>მთლიანი ვალდებულებები</u>	<u>110610</u>	<u>129878</u>	<u>164781</u>
გრძელვადიანი სესხები	0	0	0
მოკლევადიანი სესხები	29514	50000	0
სავაჭრო ვალდებულებები	81096	79878	164781
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
<u>მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები</u>	<u>2806571</u>	<u>2581818</u>	<u>1785508</u>

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2024
შემოსავალი რეალიზაციიდან	5591806	4026635
დანახარჯები გაწეულ მომსახურებაზე	3130841	2501607
საერთო მოგება	2460965	1525028
დასაქმებულთა ხარჯი	877401	727238
ცვეთა	15987	23002
% ხარჯი	4088	27700
ადმინისტრაციული		
და სხვა საოპერაციო ხარჯები	690276	541439
სულ საოპერაციო ხარჯი	1587752	1281007
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	38372
საოპერაციო მოგება	873213	244021
დივიდენდი	40000	-
მოგება დაბეგვრამდე	873213	244021
მოგების გადასახადის ხარჯი	2000	-
წმინდა მოგება	871213	244021

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ნაშთი: 31/12/2023

საწესდებო კაპიტალი	0
გაუნაწილებელი მოგება	2451940
სულ კაპიტალი	2451940

2024 წელი

საწესდებო კაპიტალი	0
კაპიტალის ზრდა/შემცირება	0
მოგების ზრდა/შემცირება	244021
გაცემული დივიდენდი	0
გაუნაწილებელი მოგება	2695961

სხვა ცვლილებები -----

ნაშთი 31/12/2023 2695961

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2023	31/12/2024
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-56776	87545
მიღებული ფულადი სახსრები	11498429	5971099
გადახდილი ფულადი სახსრები	11555205	5883554
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	58196	1420
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1420	88965